

გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემები შავი ზღვის აუზისათვის და საზღვაო ნარჩენების შემცირება marliter.bsnn.org

თებერვალი, 2021

რა არის MARLITER

MARLITER არის პროექტი საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემებსა და მონაცემთა ინსტრუმენტებზე შავი ზღვის აუზში. ეს არის შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის (BSNN), ბულგარეთი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მარე ნოსტრუმის“, კონსტანტა, რუმინეთი, „თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის“, საბერძნეთი, „ოდესის ზღვის ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის“, უკრაინა, და „შავი ზღვის ეკო აკადემიის“, ბათუმი, საქართველო ერთობლივი ძალისხმევა. აღნიშნული ხუთი პარტნიორი ერთად შრომობს შავი ზღვის აუზში საზღვაო ნარჩენების შემცირების საქმეში კოორდინაციის ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაუმჯობესებისთვის. პროექტის ერთერთი მიზანია შეიქმნას, გააქტიურდეს და ხელი შეეწყოს საინფორმაციო ტექნოლოგიურ ინსტრუმენტსა და მონაცემთა პროდუქტს. ეს მიღწეულ იქნა ინოვაციური ვებ პლათფორმის მეშვეობით.



Black Sea seahorse by Florin Dumitrescu (CC BY-SA 3.0)


ინტერაქტიული ინსტრუმენტი

MARLITER-მა აამუშავა ინოვაციური ICT ინსტრუმენტი შავი ზღვის აუზისათვის, რომლის მიზანია უპასუხოს დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. როგორც პროექტის ძირითადი პროდუქტი, ეს ინტერაქტიული და მოხერხებული პორტალი ხელს უწყობს ცოდნაზე დაფუძნებულ სხვადასხვა საქმიანობას.

მასში მოცემულია ყველაზე თანამედროვე ინფორმაცია, როგორც მონიტორინგის, ასევე საზღვაო ნარჩენების მდგომარეობის შესახებ.

სივრცული კარტოგრაფიული ინსტრუმენტული ნაკრები ხელმისაწვდომს ხდის მდიდარ მონაცემებს სანაპირო და საზღვაო გარემოს შესახებ პროექტის ხუთ ქვეყანაში, ისევე როგორც მთლიანად რეგიონში. პოლიტიკური ინსტრუმენტული ნაკრები მოიცავს ზღვის გარემოს დაცვის საკანონმდებლო ბაზას რეგიონულ, ევროგაერთიანებისა და ეროვნულ დონეებზე. დაინტერესებული მხარეების მონაცემთა ბაზები ასახავს, თუ ვინ არიან ძირითადი პასუხისმგებელი აქტიორი საზღვაო ნარჩენების შემცირების პოლიტიკისა და ღონისძიებებზე დაგეგმვისა და განხორციელების საქმეში.

საუკეთესო პრაქტიკებისა და რეკომენდაციების კრებული ხელისუფლების წარმომადგენლების, კერძო სექტორის, კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტების, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და ფართო საზოგადოების კოორდინირებული ძალისხმევის მეშვეობით ადგენს ზუსტ გზას უფრო სუფთა შავი ზღვისაკენ.



სივრცული კარტოგრაფიული ინსტრუმენტი

ეს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (GIS) ინსტრუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: სივრცული მონაცემები და ნაწილაკთა მოძრაობა. ისინი გვთავაზობენ საზღვაო გარემოს ფაქტორების ინფორმაციის ინტერაქტიულ მოხმარებას. ყველა მონაცემი ნაჩვენებია რუკის ინტერფეისზე. ასევე მეტი გეოგრაფიული ფენა მოიცავს სხვადასხვა ეროვნული და რეგიონული დონის ბიოტიკური და აბიოტიკური ხასიათის სხვადასხვა ფორმატის ადვილად ხელმისაწვდომ მონაცემებს, რომლებიც რელევანტურია ნარჩენებით საზღვაო გარემოსა და ზღვის დაბინძურებისათვის. მონაცემთა თითოეულ ჯგუფს თან ახლავს დამატებითი ინფორმაცია, როგორცაა გეოგრაფიული და დროითი დაფარვა, ორიგინალური წყაროს მითითება და ბმული. მონაცემთა ჯგუფის ჩამოტვირთვა თავისუფლად შეიძლება. მოდელირება აჩვენებს, თუ სად მოხვდება პლასტიკატის ნარჩენები ათი წლის შემდეგ შავი ზღვის სანაპიროს სხვადასხვა ქალაქებიდან ბუნებაში მათი გადაყრის შედეგად. პლასტიკატის ნაწილაკების პოტენციური გზის გავლის პროცესი მოცემულია ორთვიანი პერიოდულობით. ფერის ცვლილება მწვანეიდან წითლამდე მიუთითებს ნაწილაკის სანაპიროს კონკრეტულ ადგილამდე მიღწევის ან ღია ზღვაში დარჩენის ალბათობას.



Project funded by EUROPEAN UNION



საერთო საზღვრები. პრობლემის ერთობლივად გადაჭრა

საზღვაო ნარჩენების მდგომარეობა

პორტალის ეს ნაწილი მიმოიხილავს საზღვაო ნარჩენების მდგომარეობას. ბულგარეთის, საქართველოს, საბერძნეთის, რუმინეთისა და უკრაინის ცნობები ნარჩენების თაობაზე სქემატურად გვაძლევს მრავალფეროვან, თუმცა ძალიან მცირე შესაძარ სურათს შეაჩერონ სანაპირო ზონისა და ზღვის გარემოს მყარი ნარჩენებით დაბინძურება. საზღვაო ნარჩენების წარმოშობის წყაროების თაობაზე მიღებული კვლევის შედეგები აღწერენ პლასტიკის ნაკადებს ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან, მდინარეებიდან და ზღვაზე არსებული აქტივობებიდან. განსაკუთრებული ყურადღება გასაზრდველი პლაჟებზე არსებული ნარჩენების როდენობის, შემადგენლობისა და განაწილების შესახებ უკენსკნელ ხანებში მიღებულ კვლევის შედეგებზე. შემდეგი ასპექტია ზღვის ფსკერზე მოხვედრილი ნარჩენების სიმჭიდროვე და ტიპი, რომელთა შესახებ ინფორმაციის წყაროს ეროვნული კვლევები და პილოტ პროექტები წარმოადგენს, როგორც შავ ზღვაში, ასევე საბერძნეთის ხმელთაშუა ზღვის წყლებში. მიღებული მონაცემები ზღვის მოტივტივე ნარჩენებზე და მიკროპლასტიკზე აშუქებს ყველაზე უკანასკნელ ხელმისაწვდომ მონაცემებს წყლის სვეტში პლასტიკის განაწილების შესახებ. ასევე მოცემულია რამდენიმე ქვეყნის ინფორმაცია პლასტიკის ნამსხვრევებისა და უმცირესი ნაწილაკების ზღვის ორგანიზმებზე ზემოქმედების თაობაზე.

მონიტორინგის მდგომარეობა

ხუთივე ქვეყანას გააჩნია ინფორმაცია საზღვაო ნარჩენების მონიტორინგის თაობაზე, როგორც საფუძველი დაბინძურების შემცირებაზე მიმართული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის დიაპაზონი ფართოა, დაწყებული განზოგადებული ანგარიშიდან და დამთავრებული რეგიონული, ეროვნული და ადგილობრივი მონიტორინგის კონკრეტული შეფასებით. რეგიონული მონიტორინგის კოორდინირება ხდება ბუქარესტის კონვენციის შავი ზღვის საზღვაო მყარი ნარჩენების რეგიონული სამოქმედო გეგმისა და ევროგაერთიანების საზღვაო სტრატეგიული ჩარჩო დირექტივის მიზნების ფარგლებში. ბულგარეთი, საბერძნეთი და რუმინეთი უკვე ახორციელებენ ეროვნული მონიტორინგის პროგრამებს საზღვაო ნარჩენების ჩათვლით. უკრაინამ მიიღო ეროვნული პროგრამა, რომელიც უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს. პილოტ დაკვირვებები და გამოკვლევები საფუძველს უყრიან მონიტორინგის მდგრად პროგრამას საქართველოში. ადგილობრივი მონიტორინგის აქტივობებმა, პლაჟების დასუფთავების კამპანიებიდან თანდათანობით სახეივალა და გადავიდა უფრო რეგულარულ ერთობლივ დაკვირვებებზე მონაცემთა გადასაცემად გარემოს დაცვის ევროპული სააგენტოს Marine Litter Watch ინიციატივისათვის.

პოლიტიკური ინსტრუმენტების ნაკრები

პოლიტიკური ინსტრუმენტების ნაკრები ეხმარება მომხმარებელს გაერკვიოს საზღვაო გარემოს დაბინძურების შემცირების ეფექტიანი პოლიტიკის აგებისა და შემუშავების პროცესში „კანონმდებლობის“, „დაინტერესებულ მხარეთა მონაცემთა ბაზისა“ და „რეკომენდაციების“ მიმოხილვის გზით. ამ ინსტრუმენტული ნაკრების მიზანია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მონაცემები და რესურსები მისთვის გასაგები ფორმატით და დაეხმაროს ადმინისტრაციებს, ბიზნესს, მეცნიერებს, ექსპერტებს ისეთი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რომელიც სარგებლობას მოუტანს საზღვაო გარემოს და მასზე დამოკიდებულ სხვადასხვა მომხმარებელს. საკანონმდებლო ჩარჩო გამოსახულია დროის გრაფიკის სახით დაწყებული 1970-იან წლებში მიღებული პირველი საერთაშორისო კონვენციებით საზღვაო გარემოს დაცვისათვის, 1990-იანი წლების რეგიონული ზღვების კონვენციებით, რასაც შემდეგ მოსდევს ევროგაერთიანების გარემოსდაცვითი დირექტივები და 2020 წლამდე მიღებული ეროვნული საკანონმდებლო აქტები. დაინტერესებულ მხარეთა წარმოდგენილი ჯგუფი მოიცავს იმ ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ზღვის ნარჩენებით დაბინძურების შემცირებისთან. ძირითადი ჯგუფები მოცემულია გრაფიკულად და თითოეულ მოცემულ დაინტერესებულ მხარეს თან ახლავს მოკლე შენიშვნა და ბმული. საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა რეკომენდაცია ორგანიზებულია საგნობრივი თემების ქვეშ. ეს იძლევა წვდომას ეროვნულ და რეგიონულ გამოცდილებაზე ისეთ სექტორებში, როგორცაა ნარჩენების მართვა, პორტის მიმღები მოწყობილობები, გემებსა და თევზრეწვით წარმოშობილი ნარჩენი, ცნობიერების ამაღლება, საკანონმდებლო და ეკონომიკური ქმედებები.



ერთობლივი სამოქმედო პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020
გამოცემა რედაქტირებულია შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციითა ქსელის მიერ
ვარნა, 2021 წლის თებერვალში
ერთობლივი სამოქმედო პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020-ს ერთობლივად აფინანსებენ ევროკავშირი ევროპის სამუშაოლო ინსტრუმენტის მეშვეობით და მონაწილე ქვეყნები:
ბულგარეთი, თურქეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, რუმინეთი, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი და უკრაინა
ეს გამოცემა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციითა ქსელი და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს



საერთო საზღვრები. პრობლემის ერთობლივად გადაჭრა